13
1961

ნახ. ზ. ლეჟავანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოგესალმეგით, ქედეგო,
მოგმაქვს სალამი გვიანი,
ჩემსამც სამარეს ამკოგენ
თქვენი დეკა და ღვიანი!
თქვენგანა გულოგს ეს გული,
ზიგ გრძნოგა უდუღს ღვთიანი,
თქვენი მიწოვავ მეც ძუძუ,
ღალიან-გარაქიანი.

ფაფა

№ 14 თბილისი ივლისი 1961

# ნიაკვი

გამოცემის XXXIX წელი, ფასი 20 კაპ.

# ვაჟას იუმორისტული ლექსები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი დიდი პოეტი ვაჟა-ფშაველა იუმორისტულ ნაწარმოებებსაც წერდა. მაგრამ ამ მხრივ მისი მოღვაწეობა ჯერ კიდევ ნაკლებად არის შესწავლილი. სხვათა შორის, პოეტის რამდენიმე იუმორისტული ლექსი დღევანდლამდე გამოქვეყნებული არ ყოფილა და სრულიად უცნობია ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის. ეს ლექსები ამჟამად იბეჭდება ვაჟა-ფშაველას თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში, რომელიც საიუბილეოდ გამოდის.

ვბეჭდავთ სამ მათგანს ზ. ჭუმბურიძის პუბლიკაციით

## სიმღერა

(ვუძღვნი სოფლელ ჭორტიკებს,
ბებრუცუნ-ბებრუხუნებსა)

რამდენი სთელავს ჩვენს მიწას,
პრისტავები თუ სუდია,
რამდენსა ჰსვამენ ჩვენს ღვინოს,
რამდენი უსვამთ ლუდია. -
ქართველად დაბადებულა
და ერი გაუყიდია.
სავსეა ჩვენი ქვეყანა
ოფიცერ-პომპოლიკითა.
იმათ ის გვარგეს, -- აგვივსეს
კარ-კური ჩონჩორიკითა.
გულებს გვიხეთქენ ყველასა
შტიკების ტონტორიკითა;
ქართულად ენას არ დასძვრენ,
განღამც იკითხონ გაზეთი,
ვერ ჰგრძნობენ საუბედუროდ,
რომ გაუწყრებათ მათ ღმერთი.
რა ვიცით, ჟამი მოვიდა,
რას გამოატყვრენს, რას არა...
იფთხილეთ, ქართველები ხართ,
არ გაჰხდეთ ქვეყნის მასხარა!
ჯერ სოფლელთ დიაცთ გაიგეს,
გაზეთის ძალი-ღონია.
თქვენ რაღა ღმერთი გაგიწყრათ,
რამ გამოგლიათ გონია!...

* * *

მე რო ღმერთმ ცოლ-რძალი მამცა,
ბედიც ამასა ჰქვიანო,
ოც-ოცს შასჭამენ ხინკალსა.
ერთურთს არ დაუცდიანო
უვლიან გარეშამოსა,
მუდამდღე სახსა ჰგვიანო,
კართ უკვენ ნაგავს ინახვენ,
ერთს თვეზე გადაჰყრიანო.
ნემსს და ნემსის კუდს ეძებენ,
თითით ნაგავსა სთხრიანო.
დაქსოვეს ხალიჩეები,
ვაჭრები მამიდიანო.
დუშმნის ჯავრს, მოქიშპისასა,
ესეებს ამამყრიანო.
ორნია, მაგრამ კარგნია,
მთელს სოფელს გაუდრიანო.
დღით სამჯერ დაიძინებენ,
ხალიჩას გაიშლიანო.
თუ რამ წამიხდა სახშია,
ცხარეს ცრემლს გადმაჰშლიანო.
ქუდს ვუხდი: „თვალებს ნუ ითხრით“.
მაგრამ არ დაიშლიანო!...

* * *

„იუბილეი“ გახშირდა,
როგორც მაისში რწყილები.
ბედნიერი ხარ, სამშობლოვ,
ბედნიერი გყავს შვილები!
იუბილიარს დაგითვლი, —
რამდენიც დღეა წელშია:
არტისტი, გინდა პოეტი,
უთვალავია ჩვენშია.

რომ დავსაჩუქროთ, მივდივართ
ყველა გვირგვინით ხელშია.
არ იტყვი, არ დაიჯერებ,
სამშობლო კაი დღეშია?
ერთი გვაკლია მხოლოდა,
არ მოგვივიდა თავშია.
რომ ვირი გამოვარჩიეთ
ამოდენს დუნიაშია.

რამდენი შრომა მიუძღვის
მწვანილის მოტანაშია,
ყროყინში, წიხლის ქნევაში,
გვერდების მოფხანაშია!
ჩვენ კი არ ვფიქრობთ არაფერს
ამ ძვირფას მოღვაწეზედა,
რომ იმისთვისაც დაგვედგა
დაფნის გვირგვინი თავზედა.
რად გავიწყდებათ, ქართველნო,
იფიქრეთ, მოდით ჰკვაზედა!..

(1910 —1911 წ).

## ჩემი მეგობარი, ჩემი მეგობარი

ვაჟა-ფშაველას თბილისში ჩამოსვლისას სიხარული მოჰქონდა; ახლო მე- გობრებში ჩაღდებოდა ფუსფუსი, იწყებოდა დაუვიწყარი შეხვედრები, საუბრები და სერობა. მისი უახლოესი ადამიანები პოეზიის მეგობრები იყვნენ; ხალხის მო- ჭირნახულეებს უყვარდათ და მასთან შეხვედრას გულითაც ცდილობდნენ.

მათ ვარაუდით იცოდნენ მისი მარშრუტიც: ჩარგლიდან უთუოდ ფასანაურ- დუშეთზე ჩამოვლით ეწვეოდა დედაქალაქს, „დოსტებს“ მოინახულებდა და ნათესავებს დახედავდა.

მერე კი იწყებოდა საქმიანი ვიზიტები: რედაქციების ჩამოვლა, წერა-კითხ- ვის საზოგადოების, წიგნის მაღაზიებისა და ისეთი ადმინისტრაციული დაწესე- ბულებების კარებს შეაღებდა, სადაც რაიმე საქმის მოგვარება აუცილებელი იყო ან ჩარგლის, ან შირაქში თუშ-ფშავ-ხევსურთა ჩამოსახლების, ან საძოვარ-საია- ლაღო საქმეების თაობაზე.

შემდეგ კი მეგობრული სერობები და, როცა საჭირო იყო, მირიანაშვილების სასადილოში „ჭიქის დასველება“.

საუბრები, დიდებული, საქმიანი საუბრები.

ბარად ჩამოსულს — მთის ნაფიქრ-ნაგრძნობი ჩამოჰქონდა, აქაურს ისმენდა და „გულს ინედლებდა“.

ახლო ვიცნობდი ვაჟა-ფშაველას. ჩემი სიჭაბუკის დღეებიდან — მის უდ- როო დაკარგვის წუთებამდე. გვქონია საქმიანი მიწერ-მოწერა, არაერთხელ ვყო- ფილვარ სალიტერატურო საღამოების მონაწილე, რომლებშიც ვაჟა მთავარ ფიგუ- რას წარმოადგენდა, როგორც არა მარტო დეკლამატორი, არამედ ჩინებული პუბლიცისტური სიტყვებისა თუ სადღეგრძელოების ავტორი.

ვაჟა-ფშაველას ენა!

ეს ხომ მჩქეფარე ნაკადი იყო, რომელიც ადამიანის გულს ესალბუნებოდა, ასწავლიდა, ინადირებდა და მისაბაძავად მუდამ სანატრელს ხდიდა! ვისაც სმე- ნია მისი საუბარი, ჰაიჰაი, რომ დამთვრალა და შეყვარებული დარჩენილა!

— სიტყვა შენი — ხმალია შენი, ფშაველო! — უთხრა ერთხელ ჩვენს წრეში ვალერიან გუნიამ.

— ეს ფხიანი ფრანგულია, რომლითაც მტერს უნდა ვიგერიებდეთ, — მიუ- გო მან დამაჯერებლად.

— გიკურთხოს განგებამ!

დიახაც მუდამ ნაკურთხი იყო მისი სიტყვა და ჩვენი შვილიშვილები მუდამ სიამაყით გაიმეორებენ მის მადლიერ ლექსს.

მის სადა, გადამბირავ სიცილსაც კი სამუდამოდ დაიხსომებდით და მისა- ბაძად გაიხდიდით.

მისი ფხიანი ხუმრობაც გამახსენდება. ჩემი საყვარელი „ნიანგის“ ფურც- ლებზე მინდა მისი ერთი საინტერესო ხუმრობა გავიმეორო:

როგორც მახსოვს, ჩემს კუთხეში (სიღნაღის რაიონში) მინდვრად ხშირად მი- ნახავს მუდამ ღონიერ, ნამთევ ცხენზე მჯდომი, ზომაზე მსუქანი ღაბაბიანი მეცხ- ვარე კაცი. მგონი ის თუში, მდიდარი მეცხვარე იყო, უნივერსიტეტში ნამყოფი, ათი ათასი სული ცხვრის პატრონი, (თუ არ ვცდები, გვარად გუგუთაშვილი). სა- ზამთრო საძოვრები შირაქის პირად ჰქონდა და ჩვენს სოფელზე ჩამოივლიდა ხოლმე, მწყემსები მას „ჩამაქერის“ ეძახდნენ და, როგორც შემდეგ გავიგე, ამ სახელით იგი ვაჟა-ფშაველას მოენათლა. გაგონილი მქონდა, შირაქში ვაჟა მისი ხშირი სტუმარი იყო. ერთ-ერთ სტუმრობის დროს, როცა ვაჟა-ფშაველამ მას, როგორც მასპინძელს, თავისი ნანადირევი ჯეირანი მხრებით მოუტანა, თურმე მახლობლად მომდინარე „კასრის წყლიდან“ წყლის მოტანაც დაავალა.

— ხელ-ფეხი მიბჟუის, თუშო, — მიუგო ვაჟამ, — მძიმე იყო ტიალი!

— რა გი, ფშაველო? — უთხრა გუგუთაშვილმა, — შენი ხნისა რო ვიყავ, ხელებშიცა და ფეხებშიც ცეცხლ გამდიოდაო.

ეს ტრაბახი ვახშმის შემდეგ შეამოწმა ვაჟამ და, იმავე ღამეს, როცა სტუ- მარ-მასპინძელი შუაცეცხლს უფიცხებდნენ, თურმე ვაჟამ ფეხი კრა ანთებულ მუგუზალს ცეცხლი მხვრინავ გუგუთაშვილს მისწვდა და ეს მხოლოდ მაშინღა გაი- გო, როცა ზურგი აუპრიალდა.

— ჩამაქერით, ჩამაქერით! — დაიწყო გაოგნებულმა, — შე ოჯახქორო, აკი გელვიძა და რატომ არ ჩამაქერი?

ვაჟამ დინჯი ღიმილით განუმარტა:

— აბა, რა ვიცოდი, გენაცვალე? მეგონა ახალგაზრდობა გაგახსენდა-მეთქი!

მას შემდეგ გუგუთაშვილს მეტსახელად „ჩამაქერის“ უწოდებდნენ.

ზედმეტი არ იქნება, ვაჟას ფრთიანი გამოთქმებიც შეკრიბოს ვინმემ.

სიკო ფაშალიშვილი (ფარსადანი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განცხადება

ვაჟა-ფშაველას იუბილესთან დაკავშირებით ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკებსა და ასპირანტურადამთავრებულებს ვთავაზობთ როგორც სადოქტორო, ისე საკანდიდატო დისერტაციების თემებს:

## სადოქტორო დისერტაციის თემები:

1. ვაჟა როგორც ვეგეტერიანელი და ტყის უახლოესი მეგობარი

(პოემა „გველის-მჭამელის“ მიხედვით).

2) ვაჟა როგორც ვოკალისტი, მუსიკათმცოდნე და ლოტბარი.

(ლექს „კურდღლის სიმღერის“ მიხედვით)

3) ცნობისმოყვარეობის აშკარა ფაქტორები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში (ლექსების „ნეტავი გამაგებინა“, „რამ შემქმნა ადამიანად„ და „რას შემომღმუი, მდინარევ“ მიხედვით

4) ვაჟა როგორც დარდიმანდი, მოქეიფე, კარგი თამადა და კარგი მომღერალი (გამომდინარე სამი ნაწარმოების — „ჩხიკვთა ქორწილი“, „მემღერება და ვიმღერი“ და „დამისხი, დამალევინეს“ ღრმა ანალიზის შემდეგ).

## საკანდიდატო დისერტაციის თემები:

1) ჩონგური ვაჟას შემოქმედებაში (ლექს „სტვირის“ მიხედვით).

2) სტვირი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში (ლექს „ჩონგურს სიმები დამიწყდა“-ს მიხედვით)

3) კრიტიკული მომენტები ვაჟას შემოქმედებაში და ვაჟა როგორც სიკვდილს რამდენიმეჯერ გადარჩენილი (ლექსების „ხიდო, მოგენდე, ჩამიტყდი“ „ხმა სამარიდან“, „გულო, არ გასტყდე“, „ერთხელ იქნება მოვკვდები“ და „მწყემსის ანდერძის“ მიხედვით)

4) ვაჟა როგორც ასტრონომიულ მეცნიერებათა კანდიდატი (ლექსიდან „ცაზე იარე მთვარეო“ გამომდინარე).

5) ზოოლოგიური მეცნიერების ღრმა ცოდნა და ექსპერიმენტული მეცნიერების სიმპტომები ვაჟას შემოქმედებაში (ლექსი „ნახევარ-წიწილას“ მიხედვით)

აღნიშნული თემები მიღებულია და დამტკიცებულია ნიანგის სამეცნიერო საბჭოს ღრმად დახურულ სხდომაზე.

ახალგაზრდა მეცნიერებო, ისარგებლეთ ხელსაყრელი შემთხვევით!

ნახ. ი. ქოქიაშვილისა



ნათელი შედარება.

„ტყის მეგობრების“ ღია წერილი

## მინდიასადმი

არც ქაჯთა ხელად ვცვენილვართ,
არც გვიჭამნია გველნი ჩვენ
შენეულ სიბრძნე-გრძნებასა
ჰაი, ჰაი, რომ ვერ ვიჩენთ.
მაგრამ ტყე გვიყვარს შენებურ,
მეგობრებ ვრჩებით ტყისანი,
ვინც ქორჩილ ხეებ არ მაშჭრის,
„ტყის მეგობარიც“ ის არი.
შენი მცნებებით გზებ ვიკვლევთ,
გვსურს ჩვენს რიგებში ჩაგწეროთ,
საპატიო წევრ გერქმევა,
თუ ჩამოლალავ საწევროს.

ჩარლი




ფიცხელა თანამედროვე ტექნიკით.

1861 — 1961

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით მიმდინარე წლის ივლისში მსოფლიოს ყველა კვეყანაში აღინიშნება დიდი ქართველი პოეტისა და მწერლის ვაჟა-ფშაველას დაბადების ასი წლისთავი.

# დეკემბერი

ვენეციის სახელმწიფოს კამეგებელოვის სამსახური გაგიწევია, მაგრამ მაგახედ არას ვამბობ, ითხონ იციან და გიხდიან კიდევაც ოუბილეს. გილოცავ, ბრავო, ბეოცნი.

**ფეტარპარი**

გილოცავთ ოუბილეს, მეგირფასო ბატონ, მადლობელი ვართ „ფლის ნუკრის ნაამბობის“ დაწერისთვის.

**დანიელი და ფენი ბეფეზი**

მისარია ლამანში რომ კადმოსცეს მსარდამსარ. ჭეუსვარ ლონდონში გამართულ შენს იუბილეზე ვეესწრები, რადგან საბერძნეთში ვიმეოფეები, ჩემი გული [illegible] მანდ არის.

**ბაირონი**

ფიცვერცსლნაჯამია შენი ეოგოორი ჩემს ეაჩაღებთან. დიდად მსარებს ჩვენი დამოუკერება. ეოლოცავ ოუბილეს.

**ფილარი**

# ალაფერდი

ერთხელ ვაჟა ილიასთან იყო სტუმრად დღეობაზე. შეზარხოშებულ ვაჟას ბოდიში მოუხდია სუფრის წევრებთან, მეჩქარებაო, ამდგარა და ფშაში წასვლა მოუნდომებია. ბევრი ეხვეწა ილია, დარჩი, მაგრამ ვაჟა გაჯიუტდა — გინდა თუ არა, უნდა წავიდე და ფშაში ადრიან ჩავიდეო. მაშინ ილიამ მეჯინიბეს დაუძახა და რაღაც უჩურჩულა ყურში. მეჯინიბემ გაიღიმა და უცებ საოდღაც გაქრა.

— ჩემს წასვლას და თქვენს დარჩენას გაუმარჯოსო, — თქვა ვაჟამ, ყანწი გამოამშრალა და თავისი ბედაურისაკენ გაეშურა. მივიდა და რას ხედავს — მისი ცხენი მიყუდებია სუფრით კაკალს. მუხლები ეკეცება და თავალებს ნაბავს. ვაჟა იმ ფამსვე მიხვდა, რომ ილიას ბრძანებით მეჯინიბეს ცხენი არყით დაეთრო. მთვრალი ცხენით წასვლა ფშაში, ისიც ღამით, განსაკუთრებით ისეთ პირობებში, როდესაც არც ტაქში, არც ტრამვაი, არც ტროლეიბუსი და, რაც მთავარია, არც ხალტურის მანქანები არ არსებობდნენ, თითქმის წარმოუდგენელი იყო. ამიტომ ვაჟამ ჯერ ბევრი იცინა, მერე, სხვა გზა რომ აღარ ჰქონდა, ისევ სუფრას დუბრუნდა.

— რაზე დაბრუნდი, ვაჟა! — შეეკითხა ყანწით შემოსულ ვაჟას გაოცებული ილია.

— ჩემმა ცხენმა მითხრა, ალაფერდი შენთან ვარო, ვაჟაო, და აბა უარს როგორ ვეტყოდი, ჩემო ილია! — უპასუხა ვაჟამ.

გაათენებამდე უქეიფია ვაჟას ილიასთან, დილით ადრე კი შემჯდარა თავის ნაბახუსევ ცხენზე და ბარბაყით გაპყოლია ფშავის გზას.

ის კი არ არის ბიკობა,
რომ გამაგრებდნენ, ბმაგრობდე,
ბიკს მაშინ დაგიძახებდი,
თავისთავადა მვარგობდე.

## პოეტის სიყვავებით



შრომისთვის ნუ გეგრალებით.
მე იმაში ვარ გართული.
ის შაიბრალეთ, ხელები
ვისაც აქვს გადახლართული.

## პოეტის სიყვავებით





დამისხი, დამალევინე,
ე ღვინო ოხერ-ტიალი...

ნეტავი გამაგებინა
ერთი რამ გამოცანაო,
პეპელასავით რომ ფრინავ. —
შენ გეკითხები, ქალაო.

ქორმ წიწილა წიალო,
იძახდა „წიავ-წიავსა!“
წიწილას თეთრი ᲬᲛᲘᲗᲘ
ველად გამქონდა ნიავსა...

ნახატები
ა. ლილოები

# რამდენი ცოდვა შეგინდოთ?

მგზავრების გასართობად რკინიგზის ვაგონებში რადიოქსელია გაყვანილი. ჩართე რადიო და რაღა როგაწყენს! ეს, რა თქმა უნდა, მგზავრთა კულტურული მომსახურებისათვის კეთდება, მაგრამ ხარჯს ხომ იწვევს! ჩვენ გვინდა რკინიგზელებს ერთი რაცწინადადება შევთავაზოთ და აღარც რადიოა საჭირო და აღარც ხარჯი იქნება სადმე: რკინიგზამ უნდა მოამრავლოს ისეთი მარიფათიანი რევიზორ-კონტროლიორები, როგორიცაა მოულოდნელ შემოხვევათა რევიზორი არმენაკ არუთინოვი. ამ კაცის მარიფათიანობა ისაა, რომ თავის ძირითად მოვალეობას, რევიზორობას, შესანიშნავად უფარდებს მგზავრთა გართობა-გამხიარულების საქმეს და, როგორც ჩანს, ეს მეორე მოვალეობა ძირითადი ხელფასის გარდა იმ უფასო პურ-მარილით ნაზღაურდება, რომლის შემდეგ არმენაკი მუდამ მხიარულ გუნებაზეა.

ჩვენს რაცწინადადებას ერთი ნაკლი აქვს: როცა მოგვწყინდება, რადიოს გამოვრთავთ, არუთინოვი კი, თუ ერთი ჩაერთო, ძნელია მისი გამორთვა. მიუხედავად ნაკლისა, მოვალე ვართ საზოგადოებას გავაცნოთ არმენაკის მრავალმხრივი მოღვაწეობის ამ ერთი მხარის დამადასტურებელი ფაქტები და თვითონ დარწმუნდებით, რომ, საცა არმენაკია, იქ მგზავრები არ მოიწყენენ.

რკინიგზის სამმართველოს საფინანსო განყოფილებაში გვითხრეს, რომ არმენაკი, როგორც რევიზორი, ძალზე კეთილსინდისიერიაო.

ჩვენც აქედან დავიწყოთ.

. არუთინოვის პირად საქმეში ჩაკრულია 1958 წლის 8 იანვრის № 1/ლ ბრძანება. თურმე მატარებელ თბილისი-ვალეს შემოწმებისას არმენაკს რბილ ვაგონში ვიღაც „დიდი კაცის“ ბეუღლე, — უბილეთო მაღრაძე აღმოუჩენია. ვინ იცის, ბანოვანისადმი თავაზიანობამ იმოქმედა, თუ „დიდი კაცის“ ხათრმა გაჭრა, ეს კია, რომ არმენაკს იმ ქალისათვის ის ცოდვა სახელმწიფოს ხარჯზე პირწმინდად შეუნდვია. ამისათვის იმა ბრძანებით არმენაკს საყვედური აჰკიდეს, რაც იმავე წლის 24 სექტემბერს „ხანდაზმულობის“ გამო მოუხსნეს. კი მოუხსნეს მაგრამ ეს შემოხვევა არმენაკის — როგორც რევიზორის — სინდისს ხომ არ ამძიმებს.

ზოგჯერ კი ვიცით ტყუილუბრალო ახირება, კაცს საყვედური მოუხსნეს, ჩვენ კი რაღაც სინდისის დამძიმებაზე ახლა ვდავობთ. განა ერთი ალილუია მღვდელს არ შესცდება? შესცდება და კიდეც შეენდობა, თუ სადმე მეორეც არ ჩანს. ამ მეორე შემცდარ ალილუიას კი გაზეთ „რკინიგზელმა“ 1959 წლის 24 დეკემბრის ნომერში ერთი მხიარული წერილი უძღვნა. ამბავი ფოთი-თბილისის მატარებელში შუაღამისას მომხდარა, როცა არმენაკს მთელი სისრულით გამოუმჟღავნებია ნუნუასადმი ჩვეული ტრფიალი, მეთერთმეტე ვაგონის გამცილებლის — მანუკიანის კუპეში ღრიანცელი აუტეხია და მძინარე მგზავრები დაუფრთხია. ღვინო რომ გამოლეულა, არმენაკი მაშინღა შესდგომია თავის პირდაპირ მოვალეობას და ვაგონში უბილეთო მგზავრები აღმოუჩენია. აქ არმენაკს ვაჭრობის ნიჭიც გამოსჩენია და ერთსაათიანი დავა ჰქონია მგზავრებთან, რომლებსაც თურმე ჯარიმა ეძვირებოდათ. ბოლოს „შეღავათიან“ ტარიფზე შეთანხმებულან, მაგრამ ვაი უბედურებას, იმავე ვაგონით თურმე გაზეთ „რკინიგზელის“ თანამშრომელიც მგზავრობს; წასვლიათ ფერი არუთინოვს და გამცილებელ მანუკიანს და ჯარიმაც მაშინღა გამოწერილა.

მანუკიანი განა არ იყო დამნაშავე? არუთინოვი ამბობს, რომ მანუკიანის დანაშაული აღელვების გამო ვერ შენიშნა და, როცა გაზეთის თანამშრომელმა ამ დარღვევაზეც მიუთითა, მაშინ შეუდგინა აქტი მანუკოვს ვაგონში უბილეთო მგზავრების შეშვებისათვის. ამიტომ ჰქვია წერილს „უხალისოდ დაწერილი აქტი“. მაგრამ რაღა აქტი. თვით ამ წერილმაც უხალისოდ და უყურადღებოდ ჩაიარა, რადგან არუთინოვის პირად საქმეში წერილზე გზის ხელმძღვანელობის რეაგირების ნიშანწყალიც არ სჩანს.

აღარც ჩვენ გვიკვირს, თუ გზის ხელმძღვანელობას არუთინოვი-რევიზორი ყოველთვის სინდისდაწმენდილი ჰგონია.

იქნებ ეს ერთეული შემთხვევა ეგონოს ვინმეს! მაშინ ცოტა შორს წავიდეთ და გადავიკითხოთ 1947 წლის 29 იანვრის №126/63 ბრძანება, რომლის ძალით არუთინოვი მთლიანად მოხსნეს სამსახურიდან გურჯაანის რკ. გზის ბუფეტში ატეხილი დებოშისათვის და ლოთობისათვის. ხუთი თვის შემდეგ არმენაკი ისევ აღადგინეს — ეკმაროსო.

მაგრამ თვითონ არმენაკმა არ იკმარა და 1957 წლის 12 თებერვალს ახალი ბრძანებით სასტიკი საყვედური მიიღო № 62 მატარებლის მეთორმეტე ვაგონში გამცილებელ აბზიანიძესთან ერთად ატეხილი დებოშისათვის.

თუ არც ეს კმარა, საზოგადოებას გავაცნობთ სადკიროვაკანში მომხდარ ინცინდენტს. ამ სადგურის მორიგემ, ავეტიქ არტენიანმა არმენაკს ვადაგადაცილებული სამგზავრო ბილეთი ფორმა № 4 წარუდგინა.

— ეს რა ბილეთია! — უყვირია არმენაკს, მორიგესათვის სახეში უფერთხავს და თან სამსართულიანიც მიუყოლებია. არც ავეტიქა დარჩენილა ვალში და არმენაკისათვის რკინიგზელის ფარანი თავში უხეთქია. შეუხვიეს თავი არუთინოვს, მაგრამ იმ ხელმადლიანმა, ექიმი იყო თუ ექთანი, განა ისეთი რა წამალი წასცხო არმენაკს, რომ ეს გატეხილი თავი დღემდე დაფარულია გზის ხელმძღვანელობის გამჭრიახი თვალისათვის.

ეს მერამდენედ მცდარად ნათქვამი ალილუიაა, არმენაკს რომ შეენდო? მგონი, ანგარიში აგვერია. თუმცა, ერთ ცოდვას კიდევ გავუმჟღავნებთ და ვეცდებით მოკლედ მოვჭრათ.

1961 წლის 15 ივნისს არმენაკი ქელეხიდან ბრუნდებოდა მოსკოვი-ერევნის მატარებლით. არ ვიცით, აქვს თუ არა ქელეხიდან დაბრუნებულ რევიზორს უფლება, რაგინდ უფლებამოსილიც იყოს, მატარებლის შემოწმებისა, მით უმეტეს, თუ განრიგი ხელთ არა აქვს. არუთინოვი კი ამას არ დაგიდევდათ, და კიდეც აუხირდა რკინიგზაში 30 წლის ნამსახურებ ექიმ ქალს თ. დ-ს.

— თქვენი ბილეთი? — იკითხა რიხით არმენაკმა.,

ქალმა ფორმა № 4 გაუწოდა (ისევ № 4, — № 13 მაინც იყოს, თარსიაო, ვიტყოდით).

არმენაკმა ექიმს პირადობის მოწმობაც გამოართვა, ორივე ჯიბეში ჩაიდო და უხმოდ შევიდა გამცილებლის კუპეში. არ გასჭრა ექიმის ხვეწნა-მუდარამ: — ბატონო, ჯარიმა მიიღეთ და საბუთები დამიბრუნეთო.

რა თქმა უნდა, ექიმი სწორად არ მოიქცა; რაკი ბილეთი არ ჰქონდა, ჩქარ მატარებელში არ უნდა ამოსულიყო. ეს იცოდა იქვე მგზავრად მყოფმა რევიზორმა გ. გურასაშვილმაც, მაგრამ მაინც თხოვა არმენაკს: ბიჭო, ჩვენი ექიმია, ეცი პატივი, დააჯარიმე და საბუთები დაუბრუნეო.

იტკიცა არმენაკმა „თავხედობა“ და გურასაშვილს ყბაში სტკიცა. შეიქნა ძიძგილი, მგზავრებმა რადიო გამორთეს და არმენაკის სამსართულიანებს მიუგდეს ყური. ქალები ყურებამდე წითლდებოდნენ, არმენაკი ახლა ექიმ თ. დ.-ს მისწვდა, შემოკრა გვერდში და კაბა შემოახია. დებოში ხარაგოულიდან ხაშურამდე გრძელდებოდა. გურასაშვილს სახე დაკაწრული ჰქონდა, მარჯვენა ხელის ცერი ამოგდებული, შარვალი და ხალათი დახეული, დაიკარგა ექიმი ქალის პირადობის მოწმობაც.

მაგრამ, განა მარტო ეს დაიკარგა? დაიკარგა ავტორიტეტი და არუთინოვი-რევიზორის სინდისი უფრო დამძიმდა და ძაფზე დაეკიდა.

კიდევ რამდენ ხანს გაუძლებს უკიდურესობამდე გაცვეთილი ძაფი ამ სიმძიმეს!

**გ. ჯამბაკური**

ქუთაისის რკინიგზის სადგურის რესტორანი კეთილმოუწყობელია და ანტისანიტარულ მდგომარეობაში იმყოფება.

ნახ. ნ. მალაზონიახი



ჩანახატი ნატურიდან.

# თანამედროვე ალქიმიკოსები

ალქიმიკოსების მზე დიდი ხანია თვალთ მიეფარა.

ხალხური სიბრძნე ალქიმიკოსების საწინააღმდეგოდ მეტყველებს: — არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითაო.

საიათნოვამაც თქვა: „გოგრა არ გახდება შირაზის შუშა, რაგინდ მაღლა თახჩაშიაც შაიწყოსო“.

მაგრამ ამ სიბრძნის, საუბედუროდ, ბევრს არ სჯერა და არცთუ ისე უმიზნოდ და უმიზეზოდ, რადგანაც, საკმარისია, არ ირწმუნო ხსენებული ჭეშმარიტება, რომ ჯიბეები გაგისქელდეს.

ზუგდიდის ტრიკოტაჟის ფაბრიკაში ჩინებულად იციან ეს. ამიტომაც ისეთ რეიტუზებს შუშებენ, რომ არც სტანდარტული ზომა გააჩნია, არც ნავარცხნი უვარგა, გასაყრელი რეზინი ისეთი აქვს, ზუგდიდიდან დარჩელამდე რომ გაიწელება. ისეთ თავშალს ამზადებენ, რომ ვინც მის ტარებას გადაწყვეტს, თავში საშენად ექნება საქმე. შალი, 27 პროცენტი რომ აკლია, ბამბა 27 პროცენტი ამატია, არც სათანადო სიგრძე აქვს და არც სათანადო განი. უვარგისი და უსტანდარტოა, მაგრამ სტანდარტულად პირველ ხარისხად აწვდიან მომხმარებელს

სამტრედიის რაიონში კიდევ უფრო გამოცდილი ხალხი მუშაობს სავაჭრო ქსელში. მარტო კულაშის ყრუ-მუნჯთა საზოგადოების საწარმო რად ღირს. მათ ხელმძღვანელებს, ალბათ, ჰგონიათ, რომ ასეთ მაქინაციებს ყველა ყრუდ და მუნჯად შეხვდება. იქ თანდათანობა არ უყვართ. მესამე ხარისხის საქონელს მეორე ხარისხის საქონლად რომ ასაღებდნენ, ჯანდაბას, კაცი პირში წყალს ჩაიგუბებდა და დამუნჯდებოდა, მაგრამ არა, მესამე ხარისხი პირველ ხარისხში ერთი ხელის მოსმით გადაჰყავთ. 2310 სხვადასხვანაირი მაგიდის საფარი მესამედან პირდაპირ პირველ ხარისხში გადაიყვანეს, ჩანთებს ნახევარფაბრიკატებად უშვებენ, თუმცა, როცა სათანადო ორგანოებმა წაასწრეს, 2.500 ჩანთა თავისივე ფეხით დააბრუნებინეს წარმოებაში, კეთილ ინებეთ და ბოლომდე გააკეთეთო, და აი საოცრება, შეუსწორებლად პირველ ხარისხად რომ ყიდნენ, შესწორების შემდეგ მიღებული პროდუქცია მესამე ხარისხის აღმოჩნდა. ყოჩაღ, კულაშელებო!

ასევე მოქმედებენ, ზუსტად ასეთსავე მოღვაწეობას ეწევიან კულაშის პირველი და მეორე ბამბის საქსოვი ფაბრიკები. თვით სამტრედიის სართავ-სატრიკოტაჟო ფაბრიკაც არ ჩამორჩება კულაშელებს, მაგრამ აქ ერთგვარ მორიდებულობას მაინც იჩენენ, მეორე ხარისხის დეკორატიულ ხალიჩას პირველ ხარისხად ასაღებენ, თუმცა, დროდადრო, მესამე ხარისხის ხალიჩა პირველი ხარისხის ფასად იყიდება. ყავთ მყიდველები და აბა რა ქნან!

სოფ. დარჩელის № 1 მაღაზიის გამგის კვარაცხელიას ღვაწლის ასეთ დაფასებას რომ გაიგებს, სოფ. ნაფაღაურის მაღაზიის გამყიდველს ბაბილინა ლადაძეს ეწყინება, მე რა მასზე ნაკლები ვარ, რომ არ მაფასებენო. ბაბილინას დახლზე მოზარდის შარვლებს კარგა მოზრდილი ფასი ადევს. ბაბილინას მთა და ბარი გაუსწორებია, უთქვამს, რას მიქვია დიდი და პატარა, დიდი იქნება თუ პატარა, შარვალი მაინც შარვალიაო და ორივესათვის ერთნაირი ფასი დაუდია ალუმინის მეორე ხარისხის ჯამს პირველი ხარისხის ფასად ყიდის. ასევე ფასმომატებულად ასაღებს ბაბილინა ბამბას, და მოდი და ნუ დაუფასებ! დავუფასოთ, იჩხრიალოს ბაბილინას ბამბამ!

სოფელ დიდი ჯიხაიშის ოქტომბრის უბნის მაღაზიის გამგე-გამყიდველი ს. ვაშაკიძის კოჭი სულ ალჩუზე ჯდება. ცხრა კაპიკიან კოჭის ძაფს თორმეტ კაპიკად ჰყიდის, ხოლო ალუმინის ჯამებში ოცდათორმეტ კაპიკს ითვისებს. ამ კოჭებისა და ჯამების გამორჩენათა ჯამი ვინ იცის სად წაიყვანს პატივცემულ ვაშაკიძეს! ჯერჯერობით კი: — ვაშა, ვაშაკიძე, შენი კოჭი ყოველთვის ალჩუზე ჯდება.

სოფელ იანეთის მაღაზიის გამგე კ. კოხრეიძე, სოფელ მელაურის მაღაზიის გამყიდველი ა. ქართველიშვილი და სოფელ ახალისოფლის მაღაზიის გამგე გ. დარჯანიაც კოჭს ალჩუზე აჯენენ და ამქვეყნიური სიამოვნების მოსაპოვებლად ფასს ფასზე ადებენ!

სავარდო და სამაისო ქუთაისშიაც არიან დახელოვნებული ხარისხების გადახარისხებაში. ჟაკარდული საქსოვი ფაბრიკიდან მესამე ხარისხის დეკორატიული ხალიჩა მეორე ხარისხად გამოდის. ქუთაისის სატრიკოტაჟო ფაბრიკის მუშაკების მიერ გამოშვებული მაისურები და სხვა ნაწარმებიც ვერ დაამშვენებენ მომხმარებელს.

ჭიათურა მარგანეცეთაა საქვეყნოდ ცნობილი და სახელმოხვეჭილი, მაგრამ მისი ვაჭრობის მუშაკებიც უთქვამენ მას სახელს. საკოლმეურნეო ბაზარში განლაგებული მაღაზიების გამყიდველებს ისე „კარგად“ აქვთ დაყენებული საქმე, რომ, როგორც კი ყურს მოკრავენ, ექსპერტები მოდიანო, მაშინათვე ვეებერთელა ბოქლომებს ადებენ მაღაზიებს და, ცა ჩაყლაპავს მათ, თუ დედამიწა, ვერავინ გებულობს.

ბათუმის ტრიკოტაჟის ფაბრიკის ნაწარმები და ქობულეთის საქსოვი ფაბრიკის მიერ გამოშვებული დეკორატიული ხალიჩები უსტანდარტო

და უხარისხოა, მაგრამ ხარისხიანი და სტანდარტული ფასი ადევთ. აბა, ბოლოს და ბოლოს, ხარჯი ხომ აქვთ გაწეული და ფასი არ დაადონ? მერე და, რაც უფრო მეტი ღირს საქონელი, მით უფრო ძვირფასი არ არის? ჰოდა, ამ ფაბრიკების ნაწარმებზე კაცმა ძვირიაო რომ თქვას, ძვირის თქმა გამოვა, — ძვირის თქმა კი, სხვა არა იყოს რა, აუცილებელია!

ჩვენს თბილისქალაქშიაც მოიპოვებიან ასეთივე თანამედროვე ალქიმიკოსები. თბილისის სატრიკოტაჟო ფაბრიკა № 2-ის მიერ დამზადებულ რეიტუზებს დიდი სურვილი აქვთ პირველი ხარისხისანი იყვნენ და სცადეს კიდეც, მეიკერეს ეს იარლიყი, მაგრამ შუბი ხალთაში არ დაიმალა და გოგრა შირაზის შუშა ვერ გახდა. გამეღავნდა მათი დაბალხარისხოვნება. სამაგიეროდ, მეორე კარგი საქმე გააკეთეს თბილისის მეორე სატრიკოტაჟო ფაბრიკის მუშაკებმა. მათ მიერ დამზადებული მაისურები გართობის წყაროდ იქცა, შეხედავ და არ შეიძლება სიცილით არ გაიგუდო. ერთი და იგივე ზომის მაისურა კოჭებამდეც წვდება კაცს და წელამდეც ზოგი განზეა შეკერილი და ზოგიც სიგრძეზე, ერთობ კარგი იქნებოდა, თუკი ამ მაისურებს ცირკის კლოუნებს გადასცემდნენ.

მხიარული ხალხი მუშაობს ამ ფაბრიკაში და მომხმარებელიც უნდათ გაართონ და გაახარონ. რას ერჩით, კეთილშობილურ საქმეს აკეთებენ, დოვლათს არა ქმნიან, მაგრამ ფულს ბლომად იხვეჭენ და მიდის საქმე, მათთვის წინ, ხოლო მომხმარებლისათვის — უკან!

თბილისის მეორე ფეხსაცმელების ფაბრიკამ კი მოლოდინს გადააჭარბა. მან ისეთი ქალის ჩუსტები დამზადა, რომ, ხარისხს რომ თავი დავანებოთ, მარტო მისი გარეგნული ფორმა შეაშინებს ადამიანს. შესაძლებელია ეს ჩუსტები საფრთხობელებად გამოუშვა ფაბრიკამ, მაშინ რას ედავებით, მიზანი გამართლებული ყოფილა.

თბილისის წინდების ფაბრიკის ჟაკეტები უსტანდარტოა, უხარისხოა, შალი აკლია, მაგრამ ეს დანაკლისი ბამბას აქვს შევსებული. მათივე გამოშვებული მაისურებიც უსტანდარტო და უხარისხოა.

ძველი ალქიმიკოსების მზე, როგორც ვთქვით, დიდი ხანია თვალთ მიეფარა.

დროა თანამედროვე ალქიმიკოსების მზემაც დასტოვოს ცის ტატნობი

ვამო.


რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, ხ. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“.

**რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 3-76-69, საერთო განყოფილების — 3-10-49**

ხელმოწ. დასაბ. 18/VII-1961 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შეკ. № 1300, უე 02578 ტირაჟი 40000

საფიქრებელი იყო, დასავლეთ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს ფონ ბრენტანოსაც უნდა ჰქონოდა შეგნებული, რომ ახლა 1961 წელია და არა 1941. ის კი ძალას მოუხმობს, ცხოვრობს და ხელმძღვანელობს ომის ტრფიალის იდეებით ისევე, როგორც მისი წინამორბედი ფონ რიბენტროპი, რომელიც „ფონი“ იყო ჰიტლერის დროს. აღარ გაგახსენებთ იმ „ფონის“ სავალალო ბოლოს. მაგრამ ნაადრევად ხომ არ დავიწყებია ადენაუერის დროის „ფონს“, თუ რით დაასრულა თავისი საქმიანობა მისმა წინამორბედმა ფონ რიბენტროპმა?

(ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვიდან საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობისადმი მიძღვნილ მიტინგზე, 1961 წლის 28 ივნისს).




სიგიჟის ძალით ფონს ვინ გასულა,
ვისაც არა აქვს ჭკუა, გონება;
ასეთი ფონი რომ „ფონებს“
ახრჩობს,
იცოდნენ კარგად ყველა „ფონებმა“.

ნახ. გ. ლომიძისა

692 61
25/vii